ბრძანება N 04/3

3-01-4-202201241551

24/01/2022

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა“ თანდართული ფორმით.
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2022 წლისთვის.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით გამოკვეთოს პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც, კომპეტენციის ფარგლებში, 2022 წელს უნდა განხორციელდეს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან - რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას.

დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით.

1. ამოცანა

2021 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ აღებულ ვალდებულებას წარმოადგენდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ - რაც წარმატებით განხორციელდა.

2022 წლის განმავლობაში, სააგენტო გეგმავს შშმ პირთა უფლებების დამცველ ასოციაციებთან თანამშრომლობას, შშმ პირთა საჭიროებების გამოკვეთის მიზნით - რაც თავის მხრივ, აისახება სააგენტოს მომავალი წლის გეგმებში. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტში პრაქტიკის გავლა.

2. ლოგიკური ჩარჩო

<table>
<tr><td>ამოცანა 1.</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით შშმ პირთა უფლებების დამცველ ასოციაციებთან თანამშრომლობა</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.</td><td colspan="4">შშმ პირთა უფლებების დამცველ ასოციაციებთან კომუნიკაციის დამყარება და სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მემორანდუმის გაფორმების გზით)</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">შედეგის ინდიკატორი:
შშმ პირთა უფლებების დამცველ ასოციაციებთან კომუნიკაციის შედეგად, გამოვლენილია შშმ პირთა საჭიროებები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იქნება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>პარტნიორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>1000 ლარი</td><td>არ არის შერჩეული</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ამოცანა 2.</td><td colspan="4">სააგენტოს საქმიანობის პროცესში შშმ პირთა ინტეგრაციის მიზნით, სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტში შშმ პირისთვის პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.</td><td colspan="4">შშმ პირთა უფლებების დამცველ ასოციაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, იმ შშმ პირის იდენტიფიცირება, რომელიც დაინტერესებულია სააგენტოში პრაქტიკის გავლით.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">შედეგის ინდიკატორი:
მოლაპარაკებების პროცესში შერჩეულ დეპარტამენტში, პრაქტიკა აქვს გავლილი შშმ პირს.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>პარტნიორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ანაზღაურების გარეშე</td><td>არ არის შერჩეული</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</td></tr>
</table>